შინაური საქმეები.

ყოველ კვირეული გაზეთი

№ 12.

ფასი ორი შაური

წლიური ფასი 5 მან

წლის დამლევამდე 1 მ. 70 კ.

წლიწადი მეშვიდე.

კვირა 13 ენკენისთვე 1915 წ.

ქუთაისში სასულიერო სემინარია გაიხსნა!

ბედნიერი შემთხვევა გვეძლევა, ვაუწყოთ მთელ დასავლეთ-საქართველოს სამღვდელოებას, რომ ქალაქ ქუთაისში გაიხსნა სასულიერო სემინარია. წელს პირველი ორი კლასი იქნება მოთავსებული სასულიერო სასწავლებლის შენობაში, შემდეგისთვის საკუთარ შენობასაც გაუჩენენ, როგორც ვფიქრობთ, სალორიაზე, ქალაქის საავათმყოფოს ახლოს, რადგან პირველიდგან არჩეული ადგილი ვიწრო გამოდგა. ასეა, თუ ისე, ნეტარხსენებული გაბრიელ ეპისკოპოზის ხელთა საქმე კვლავ აღსდგა და აღსდგა იმ დროს როცა სამშობლო ეკლესიის ასე რიგათ ეჭირვება განათლებული სამღვდელოება და როცა სემინარიელებს ფართო უფლებებს მიეცათ სხვადასხვა მაღალ სასწავლებლებში შესვლისა სემინარიის მეოთხე კლასიდან. ამიერიდგან სემინარია ორ მიზანს განახორციელებს: მისცემს ქვეყანას მოწოდებით მღვდლებს და შეაძლებინებს ღარიბი მღვდლის შვილებს, რომელთაც სამღვდელო მოწოდება არა აქვთ, განაგრძონ სწავლა საერო სასწავლებლებში. ეს დიდი ბედნიერება მიადგა კარზე დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებას, რომელსაც დღეიდანვე შეუძლია მოათავსოს შვილები ქუთაისის სემინარიაში და თავის მზედზე და ლობიოზე გამოზარდოს. ჭეშმარიტად დღეს აღსდგა გაბრიელ ეპისკოპოზი! მაგრამ ვის უნდა უმადლოდეთ ამ მოულოდნელ ბედნიერებას და ისიც იმ დროს, როცა თბილისის სემინარიის მოქმედება შეჩერებულია ომიანობის გამო?

მისს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას საქართველოს ეკლესიის მოჰირნახულე ანგელოზს მოწყალე მამას **პიტირიმს** მოვიდა თუ არა ახალ სამწყსოში, მისმა სიყვარულით აღსავსე გულმა მაშინვე იგრძნო ერთი უმთავრესი საჭიროებათაგანი თავის სამწყსოისა და არ დააყოვნა შესაფერი შუამდგომლობის აღძვრა, და რომ საქმისთვის მეტი ფასი დაედვა თან გააყოლა საქმეში დაინტერესებული საქართველოს ერთი მოწინავე მღვდელმთავარი ყოვლადსამღვდელო ლეონიდი. შუამდგომლობა, როგორც ვხედავთ, დაგვირგვინდა..., ამიერიდგან იმედი გვეძლევა, რომ მისი მეუფების სხვა შუამდგომლობაც შესახებ საქართველოს ეკლესიისა ასე სასიკეთოდ დაგვირგვინდება. მაგრამ ესეც საკმარისია, რომ მამა პიტირიმის ღვთისმოშიშებით და სამწყსოსადმი უანგარო სიყვარულით აღსავსე სახე საუკუნოდ აღიბეჭდოს ქართველ ერისა და სამღვდელოების მადლიერ გულში. ჩვენ არ ვეჭობთ რომ, როცა სემინარიას საკუთარი შენობა გაუჩნდება, ერთ-ერთ მის საუკეთესო დარბაზს შეამკობს დასავლეთ-საქართველოს სემინარიის ორი მოჰირნახულე მამის სურათი მაღალყოვლადუსამღვდელოესის **პიტირიმისა** და ნეტარხსენებულის **გაბრიელისა**.

რედ. მღ. ს. მჭედლიძე.

რედაქციისაგან.

გამხნევებული მეგობრებისაგან და თანამძმების მცირე ნაწილისაგან, იმედნე-

ული, რომ სამღვდელოება, განსაკუთრებით იმერეთისა, შეინახავს ერთ ორგანოს სასახელოდ და სასარგებლოდ მშობელი ეკლესიისა და ერისა, სრული დარწმუნებული, რომ პირუთვნელ ქ ქრისტეს სარწმუნოებით გამსჭვალულ ორგანოს საჭიროებს დღეს ჩვენი სამშობლო მხარე და სამღვდელოების გართულებული ცხოვრება, მიუხედავად დიდისა ქ პატარა მტრებისა, თუ მეშურნეებისა, ვილებთ ხელში კალამს და შეწევნითა ღვთისა ვიწყებთ დროებით შეჩერებულ ეკლესიურ—საზოგადოებივ გაზეთ „შინაური საქმეების“ გამოცემას. ვსთხოვთ ყველა ჩვენ ყოფილ თანამშრომლებს, ნუ მოგვაკლებენ თავის უანგარო თანამშრომლობას, აგრეთვე ყველა თანამოაზრე მღვდლებს და მედავითნეებს თავის ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება ჯერ მხოლოდ 1916 წ. პირველ იანვრამდე და ელირება პირველი ეკენისთვიდან წლის დამლევამდე ერთი მანეთი და 14 შაური. ქაღალდის საყოველთაო სიძვირის გამო გაზეთი ამ ხანად ნახევარი ზომისა გამოვა. გაზეთის დაკვეთა და ფულის გამოგზავნა ამ მისამართით შეიძლება: Кутаисъ. Редакція „Шинаури Сакмееби“.

რედაქტორი. მღ. ს. მჭედლიძე.

უადგილო შიში.

(აჭარლებ-ქობულეთლების გათვით ცნობიერების შესახებ)

დიდი ხანია, რაც ქართულ პრესაში ქართველი მოწინავე საზოგადოების მხრივ დაიწყო მოძრაობა შესახებ გამახმადიანებულ ქართველების გათვითცნობიერებისა ეროვნულ ნიადაგზე. საგანი ფრიად მნიშვნელოვანია, როგორც ყველა ხედავს. მაგრამ როგორია საშუალება, რომელსაც გვიკარნახებს იგივე მოწინავე საზოგადოება? მისი აზრით ნამდვილ ქართველთა და მახმადიან ქართველთა შორის უნდა გაიმართოს მისვლა მოსვლა-ექსკურსიები, აზრების გაცვლა-გამოცვლა, რომლის დროს პირველებმა უნდა შეაგნებინონ მეორეებს, რომ აჭარა-ქობულეთი საქართველოს ტერიტორიის ერთი საუკეთესო ნაწილი იყო და არის და მკვიდრნი ამ ნაწილისანი, ძველი მესხნი, იყვნენ და დღესაც არიან ტომით ქართველნი და არა თათარნი, ან ოსმალნი, როგორც იგინი თავისთავს უწოდებენ. ამავე აზრის გასატარებლად მახმადიან ქართველთა შორის უნდა ვრცელდებოდეს ქართული წიგნებ-წიგნაკები და არსდებოდეს ქართული წმინდა ეროვნული სკოლები. ამას უნდა დაერთოს ურთიერთის დახმარება გაჭირვებაში, რაც ჩვენი მხრით მახმადიანი ქართველებისადმი წელს, სამწუხაროდ, გამოიხატა რაღაც უმნიშვნელო გროშებში, რაც, დარწმუნებული ვარ, ოდნავაც ვერ გაუნელებდა მათ გაჭირვების ცეცხლს. მართალია, „კეთილი გულით მოძღვნილი, მცირე-დიც შეიწირება,“ მაგრამ ამას დრო გააჩნია და ადგილი.

რაიცა შეეხება ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომელიც იყო აგრეთვე ძველი მესხეთის სარწმუნოება, და რომელიც აკავშირებდა მას მთელ საქართველოსთან, ამაზე ჩვენი მოკარნახეების აზრით კრინტიც არ უნდა დაიძრას, სიტყვაც არ უნდა ითქვას, რომ ერთბაშათ და საბოლოოთ არ ჩამოვიშოროთ ძლივს დაახლუვებული ძმები. ჩვენი პრესაც სასტიკათ იცავს პრინციპს სარწმუნოების გარეშე ურთიერთობის და ეროვნული ერთობის განმტკიცებისას. თუ მეხსიერება არ მღალატობს, მხოლოდ ერთხელ, და ისიც ისევ მახმადიან ქართველების მხრივ, აღიძრა სარწმუნოებრივი საკითხი, რომ ეროვნულად გაერთიანება უთუოდ სარწმუნოებრივ გაერთიანებასაც მოითხოვსო, რაზედაც ვიღაც კორესპონდენტმა სახ. გაზეთისამ (კარგათ არ გვაგონდება) რაღაც ზღაპრით, თუ იგავით უპასუხა, რომელშიდაც ვითომ ის აზრი გამოხატა, რომ შეგვიძლია სარწმუნოება არ შეეცვალოთ და ძმები კი დავრჩეთო. მიიღო, თუ არა, პასუხი კორესპონდენტმა თავის იგავზე მახმადიან ქართველების მხრით, არ ვიცი, მაგრამ მახმადიანი ქართველები რომ უფრო გონიერათ და

შეგნებულად მსჯელობენ ამ შემთხვევაში, ეს ყოველად უეჭველი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც განძრახ თვალს არ იხვევს და სინამდვილეს ორთავ თვალით უყურებს.

სარწმუნოება არის ის ერთად ერთი ძტკიცე კავშირი, რომელიც ჰქმნის და იკავს ეროვნულ მთლიანობას. ირღვევა თუ არა სარწმუნოებრივი მთლიანობა, ირღვევა ეროვნული მთლიანობაც, გაჩნდა თუ არა სარწმუნოებრივი მთლიანობა შედუღდა ერიც და შექმნა ერთი მთელი სმზოგადოებრივი ერთეული. ეროვნულ მთლიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა თუ რომელიმე სარწმუნოებას, არამედ იმ განსხვავებასაც, რომელიც შეაქვს ერში მწვალებლობას და ეკლესიურ განხეთქილებასაც კი. მაგალითებზე შორს არ წავალთ და ვისარგებლებთ ისევ გამახმადიანებულ ქართველებით. ესენი, სანამ ქრისტიანები იყვნენ, შეადგენდენ ერთ მთელ ეროვნებას დანარჩენ ქართველებთან, გამოიცვალეს თუ არა სარწმუნოება, დაჰკარგეს ეროვნული გრძნობაც და შექმნეს ეროვიული ერთეული თავის ერთ-მორწმუნე ერთან-ოსმალებთან, ან თათრებთან. დღეს ამ გამახმადიანებულ ქართველი ერის ნაწილს ვერ დაარწმუნებ, რომ იგი თათარი არ არის, რომ მისი სამშობლო საქართველოა და არა ოსმალეთი. აქ ანგარიშში მოსაყვანი არ არის ის ორიოდ ნასწავლი მახმადიანი ქართველი, რომელსაც სარწმუნოება, რომელიც უნდა იყოს იგი, ფეხებზე ჰკიდია.

მე პირადად ხშირად შემხვედრია მახმადიან ქართველებთან ეროვნობაზე ლაპარაკი და ვერაფრით ვერ დამირწმუნებია, რომ იგი ტომით ქართველია და სცხოვრობს. საქართველოში. უთუოდ ბევრს სხვასაც მოუხდებოდა ასეთი ლაპარაკი და დამიმოწმებს.

— რა გვარი ხარ შენ? ვეკითხები მახმადიან ქართველს.

—გორგოძე ვარ, ბატონო.

—ჰო, ძალიან სასიამოვნო,— ქართველი ყოფილხარ. ძალიან მიხარია, რომ ქართველთან მაქვს საქმე

—მე ქართველი არა ვარ!? განცვიფრებით მიპასუხებს გორგოძე, მე თათარი ვარ!

— როგორ თუ თათარი? შენ გორგოძე ხარ, უთუოდ აჭარელი, გვარი ქართველის გაქვს და მიწა-წყალი, ენაც ქართული გაქვს. ისლამის სარწმუნოებას აღიარებ, ვიცი, მაგრამ შენი წინაპარი ხომ ქრისტიანი იყო, რაც უთუოდ ბევრ თქვენგანს კიდევ ახსოვს, მაშ, საიდგან ხარ თათარი?

— არა, მე თათარი ვარ, ქართველები გიაურები არიან, იყო უკანასკნელი პასუხი გორგოძისა. და ეს არა პირველი და უკანასკნელი საუბარია ჩემს ცხოვრებაში მახმადიან ქართველთან; ასეთი საუბარი არა ერთთან და ორთან მქონია, მაგრამ უკანასკნელი პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე ყოფილა: „მე თათარი ვარ, ქართველები გიაურები არიან“....

როცა ასლან-ბეგ აბაშიძის ვინაობა გამოვიკითხე მისი ოალატის გამო, მითხრეს, იგი თათარია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობითო. თურმე ერთხელ მას უთხრეს შენში ქართველის სისხლი სდუღსო.

—სადა, იკითხა ასლანმა, აქა?-დაიდვა ხელი მარცხენა ხელის გულზე,—მაშინ აქ მოვიჭრი—უჩვენა მაჯაზე. აქა?—უჩვენა მწყრთაზე, —მაშინ აქ მოვიჭრი, —უჩვენა იდაყვზე, და თუ აქა და აქ მოვიჭრი.— უჩვენა გმირმა მხარზე. დანამდვილებით ვერ მოგახსენებთ, თუ ეს მართალია, მაგრამ ძალიან კი ჰგავს ქართველ მახმადიანის მსოფლ-მხედველობას და არც შეიძლება სხვაფრივ.

უკადურესი.

(შემდეგი იქნება.)

თვალებს ნუ გვიხვევთ!

(პასუხად სამარხი კასის გამგეობას.)

(იხ. შინ. საქ. № 10 და გაზ. «სამშობ.» №№151 და 152)

სამარხი კასის გამგეობას მოუსმენია ჩვენი წერილი და კაი-კაი ბრანწებიც აუყოლებია: ბრანწი, ბ. „ვინმე ღვდელო“, ვერ მოგერთვეს პამიდორი, **„თქვენმა წერილმა ვერ მოახდინა გამგეობაზე ისეთი შთაბეჭდილება, როგორსაც ალბათ თქვენ მოელოდითო“** (ხაზი ჩვენია). ჩვენ რას მდველოდით გამგეობისაგან? სწორეთ იმას, რაც მოხდა, რადგან ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ „ГДѣ до прибыли коснется, тамъ не только русямъ но и людямъ достается“, და როცა საქმე სარგებლობაზე მიდგება, იქ ზნეობრივ სიწითლეს, ე. ი. სირცხვილს ადგილი არ აქვს. რომ უსლსურებათ და ბრიყვებათ არ მივეჩნიეთ, ჩვენ მხოლოდ ვამხილეთ გამგეობას ის, რაც მისთვის მისსავე კეთილ გონიერებას უნდა ემხილებია თავის დროზე. ამიტომ ჩვენ სრულებით ანგარიშს არ ვუწევთ იმას, თუ რა გავლენა იქონია ჩვენმა წერილმა გამგეობაზე. ჩვენ უფრო-

ამის ფიქრში ვიყავით, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენმა წერილმა სამღვდელოებაზე, ნამდვილი გამომხატველი გავხდით ამ შემთხვევაში მისი სულის კვეთებისა და კანონიერებისა, თუ არა? *)

თუ ჩვენ წერილს გამგეობაზე სასურველი გავლენა ვერ მოუხდენია, მაგიერათ გამგეობის პასუხმა სრულებითაც ვერ შეგვარყია ის რწმენა რომელიც გამოთქმულია ჩვენ წერილში. ჩვენ ვამბობთ: 1) უფლება წაგვართვეს: 2) გამგეობის შემადგენელობა უკანონოა, რადგან სრული თავის შემადგენელობით სამღვდელოების ნდობით აღჭურვილი არ არის და 3) მთავრობამ თავის წესდება მოგვახვია თავზე ჩვენი სურვილის წინააღმდეგ. ამავე აზრის ვრჩებით დღესაც, მიუხედავად გამგეობის გრძელი პასუხისა, რომელიც გაჭიმულია გაზ. „სამშობლო“-ს ორ ნომერში და აი რატომ: წესდების ძალით სამღვდელოების უფლებაშია გამგეობის წევრების არჩევა (მათ დამტკიცების შესახებ წესდეაში არაფერია მოხსენებული). სამღვდელოების არჩეული გამგეობისაგან ყოვლადსამღვდელო გიორგიმ თავის ნებით გამორიცხა ერთი წევრი, სახელდობრ, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, ალბათ რომ არ მოსწონდა იმიტომ, და სხვა დანიშნა. **) სამარხი კასა არ არის რომელიმე სახელმწიფო დაწესებულება, ეს კერძო დაწესებულებაა, რომელიც სამღვდელოებას შეუძლია აწარმოოს გარეშე სასულიერო მთავრობისა, ამიტომ მის მეუფებას უფლება არ ჰქონდა ჩვენი არჩეული წევრი უარეყო, როგორც არ ჰქონდა ამის უფლება კანტორასაც, რომელმაც მთელი გამგეობის არჩევა მათ მეუფებას მიანდო სინოდის დამტკიცებულ წესდების ცხადი მოთხოვნის წინააღმდეგ. მ. ს. მჭედლიძე იმერეთის სამღვდელოებამ ხმის უმეტესობით ორჯერ აღჭურვა სახელმწიფო საბჭოს წევრის ნდობით და თუ ყველაფერი მათი მეუფების უფლებაშია, როგორც გამგეობა გვიბრძანებს, არც სახელმწიფო საბჭოში უნდა მიეღო მისი კანდიდატურა. ცხადია, აქ უფლების დარღვევაა.

ყოველი ამხანაგობის, თუ საზოგადოების წესდებას, თუნდა „ყავახანისასაც“, რომ სათანადო მართებლობა ამტკიცებს ეს საზოგადო კანონია, მაგრამ არ გაგონილა, რომ დამტკიცებული წესდება ვისთვისმე დაეძალებინოსთ, გინდა თუ არა მიიღე და შეასრულე, გინდა თუ არა „ყავახანა“ გახსენიო. არსებობს, მაგალითად, წვრილი კრედიტის საზოგადოების წესდება, მაგრამ კი არავის აძალებენ მის განხორციელებას. ჩვენ კი საჯაყო საქმე დაგვემართა: თავის გემოზე გადაკეთებული წესდება დაამტკიცა მთავრობამ და გვიბრძანა კასის წარმოება იმ დღიდან დაიწყეთ, როცა წესდება დაგიმტკიცეთო. რა ჰქვია ამას, თუ კანონიერების და უფლების დარღვევა არა? მით უმეტეს არ არის შესაწყნარებელი ასეთი ძალდატანება, რომ ორმა საბლაღოჩინომ მაინც, როგორც ვიცით, პროტესტი განაცხადა და სთხოვა მის მეუფებას კასის წარმოების დაწყება შეეჩერებინა შემდეგ მორიგ კრებამდის.

გამგეობა კასის წარმოების დაწყების ბრალს სამღვდელოების უკანასკნელ კრებას ახვევს თავზე, გამგეობა ამბობს, კრებამ დაადგინა „УСТАВЪ ПРИНЯТЬ“ და ეს ნიშნავს წარმოების დაწყების სურვილსო. რუსულს დღეს არ ვსწავლობთ და კარგათ გვესმის რას ნიშნავს “УСТАВЪ ПРИНЯТЬ“ და რას ნიშნავს „ОТКРЫТЬ ДѢЙСТВІЕ КАССЫ“. სამღვდელოებამ მიიღო წესდება, მაგრამ წარმოებაზე სურვილი არ განუცხადებია, სანამ აღძრული შუამდგომლობა შესახებ ზოგიერთ მუხლების შეტანისა ან შეცვლისა არ დაკმაყოფილდებოდა, და ყოველი შემთხვევისთვის გამგეობა აირჩია. კანტორამ არ შეიწყნარა შუამდგომლობა, თუმცა არც თვით სამღვდელოების მიერ შედგენილ წესდებაში და არც საშუამდგომლო მუხლებში არაფერი საწინააღმდეგო და შეუფერებელი არ ერია რუსეთის ძირითადი კანონებისა და არა თუ მხოლოდ არ

*) გაზეთისაც სწორედ ამით მოაქვს თავი რომ იგი ნამდვილი გამომხატველია სამღვდელოების სულის კვეთებისა და კანონიერებისა და ამიტომ დასტამბა „ვინმე მღვდლის“ წერილი!

რედ.

**) რედაქციას საჭიროთ მიაჩნია განმარტოს, რომ არც რედაქციას და არც სამღვდელოებას არაფერი წინააღმდეგი არა აქვს პირადათ იმ პირთან, რომელიც მისმა მეუფებამ თავის უფლებით ჩააყენა გამგეობაში.

რედ.

შეიწყნარა, არამედ პიმენ ეპისკოპოზის უკან დაბრუნებული წესდება, წინააღმდეგ სამღვდელოების ერთი ნაწილის პროტესტისა ძალაში შეიყვანეს. ნუთუ ეს წესდების თავზე შემოხვევას არ ნიშნავს?

ამ ნაირად თუ წესდება ერთგვარი კანონია, რომელსაც მართებლობაც ანგარიშს უნდა უწევდეს, იგი თვით მართებლობისაგან უნდა დარღვეულად ჩაითვალოს, რადგან გამგეობის ერთი წევრი სამღვდელოების არჩეული არ არის და რადგან კასის წარმოების სურვილი მას არ განუცხადებია; ამიტომ წარმოებაც უკანონოა და მწარმოებლებიც უკანონოდ იტკიებენ თავს. აქედგან თავისთავად გამომდინარეობს, რომ კასის მთელი ეს ჯიჯგნა ძალდატანებაა და საზარალო ძალდატანებაც.

რომ წესდება ძალდატანებაა ამის უტყუარი საბუთი კანტორის უქაზი და პიმენ ეპისკოპოზის რაპორტის პირია, რომელიც ინახება სამარხი კასის საქმეებში და რომლის გამოქვეყნებას ეთხოვთ გამგეობას სიმართლის აღსადგენად.

რაც შეეხება ზოგიერთ აბდა უბდას, რაზედაც ლაპარაკია გამგეობის პასუხში, ამათზე ჩვენ არას ვიტყვით, რადგან თავის თავად ცხადია მათი ფუქსავატობა.

მხოლოდ არ შეგვიძლია ორიოდ სიტყვითაც არ უპასუხოთ მას ორ საუცხოო თავის მართლებაზე, რომელიც პირდაპირ გამოანგარიშებელია, რომ თვალი აუხვიოს მკითხველს.

გამგეობა ამბობს: რაც სინოდმა დაამტკიცა, მისი შეცვლა ჩვენ არ შეგვიძლია და ამიტომ საწარმოო სასყიდლად ვერც ექესას მანეთს ავიღებთ და ვერც ერთ შაურს მანეთზე, არამედ უნდა ავიღოთ თუთუოდ ორი შაური მანეთზე, რადგან სინოდისგან დამტკიცებულ წესდებაში ეს არის დადებულიო. გამოდის, რომ გამგეობას ციმბირში გაგზავნიან, თუ მცირე სასყიდლით აწარმოვა საქმე. მაგრამ მაშინ რა უნდა მოუვიდეს კანტორას, რომელმაც დაარღვია წესდების ის მუხლი, რომელიც გამგეობის არჩევას საღვდელოებას აკუთვნებს?

გამგეობა ამბობს, ჩვენ რომ კასის გამგეობაზე, უარი გვეთქვა, სულ ერთია, სხვა გამგეობა შესდგებოდაო.

ყოველი კაცი პირადად თავის ცოდვებზე აგებს პასუხს. გამგეობის ასეთი პასუხი იმას ჰგავს, კაცმა რომ ბოროტება ჩაიდინოს და შემდეგ თავი ასე იმართლოს: — სულერთია, მე რომ არ ჩამედინა, სხვა ხომ მაინც ჩაიდენდაო. საუცხოო თავის მართლებაა!..

ვინმე მღვდელი.

წერილები რედაქტორის მიმართ.

დიდათ პატივცემულო, ჩვენთვის სასიქადულო თანამშრომელო,

მამაო სვიმონ!

სალამს გიძღვნით და სიხარულით ვეგებებით თქვენს წინადადებას გაზეთის გამოცემის შესახებ; მადლობასა გწირავთ გამოხმაურებისათვის, რომლის მეოხებითაც შეძლებისა და გვარად სცდილობთ სამღვდელოების გამოფხიზლებას და მის ცხოვრებაში სიცოცხლის ნაპერკწალის გაღვიებას. ნურასფერს შეუშინდებით, მამაო სვიმონ, თქვენი განზრახული საქმისათვის უნარიცა გაქვთ და ძალაც შეგწევსთ, ხოლო რაიცა შეეხება ხარჯების დაფარვას, იმედია, ამ მხრითაც კარგათ წავა საქმე, როცა თქვენი შეუდრეკელი ბრძოლა სამღვდელოების სიკეთისათვის დასძლევს სიბრმავეს ზოგიერთა შურიანი და ხარბი ადამიანებისას, რომელთაც თავიანთი უმზგავსო მოქმედებით სათავეში უნდათ კეთილი და სასარგებლო საქმის ჩაკვლა. როცა იქნება, მაინც კეთილი ბოროტსა სძლევს და საქმეც კარგად წავა. მაშ გამხნევდით, ჩვენო ღირსეულო თანამშრომელო, და ღმერთიც შეგეწევათ ამ ფრიად სიმპატიურ საქმეში.

ამ რიგათ, ჩვენ თანახმა ვართ გაზეთის გამოწერაზე და თანაც დავსძენთ, რომ იმდენი სამართლიანი და სასიამოვნო რამე ამოვიკითხეთ თქვენ მიერ ახლად მოწოდებულ გაზეთში, რომ მარტო ეს ნომერი გვიღირს ხუთ—ხუთ მანეთად. ვისმეს სულმდაბალს და გაიძეერას არ ეგონოს, რომ ჩვენ ეს სიმდიდრით მოგვდიოდეს: მასში ამოვიკითხეთ ის, რაც ჩვენს გულს სტანჯავდა და არსაიდან კი ხმა არ გვესმოდა. ოღონდაც სიმართლე გვიგონოთ ამ ვათახსი-

რებულ და სულიერად დაცემულ ცხოვრებაში და ჩვენ მზათა ვართ უკანასკნელი გროშიც კი შეესწიროთ ამას. ყველა ჩვენა გვთელავს, ყველა ჩვენი ბატონი შეიქნა უბრალო იასაულიდგან მოკიდებული, ჩვენ პიროვნებას ალარავინ აფასებს, უუფლებო მონებათ მოგვნათლეს და ყოველავე ამას პასუხის გაკეთა ესაჭიროება, სიჩუმე და სიმხდალე მიწასთან გაგვასწორებს და, ამასაც რომ თავი გავანებოთ, განა ჩვენ ვალდებულნი არა ვართ სიმართლისათვის ხმა ავიმაღლოთ?..

ამისათვის კი სიჭიროა იარსებოს თქვენმა ორგანომ „შინაურმა საქმეებმა," რომელსაც სულით და გულით უსურვებთ აღორძინებას და სრულ გამარჯვებას.—

მღ. პარმენ ყიფშიძე.
მღვდელი. ანთიმოზ. მესხი.

— —

მამაო სიმონ!

დიდი სიამოვნებით ვეგებები თქვენ განზრახვას. არამც თუ ერთი, დარწმუნდით არც ათი ეკზემპლიარის დაკვეთას დამიშლის გული, რომ ნივთიერი ღონე ხელს მიწყობდეს. ყოველ შემთხვევაში ვცდილობ, რაც შეიძლება, გამრავლდეს ხელის მომწერთა რიცხვი თქვენი გამოცემისა. სასირცხოდ მიმაჩნია, ამაზე თუ ლაპარაკი გვჭირდება. მთელ დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებას ერთად ერთი ორგანო გვაქვს და ისიც უნდა მოისპოს ჩვენი გულგრილობით? ნუ თუ ისე დაკლარიბდით, რომ ერთ წელიწადში ხუთ მანეთს სამ ვადაზე ვერ გადავიხდით? არა, აქ მიზეზი სიღარიბეში არაა, ჩვენი გულგრილობაა და თან ზოგიერთთა პიროვნული ანგარიშები და, ბოდიშს ვიხდი, ზოგიერთთა უვიცობა. სასირცხო არაა, რომ ეხლანდელი მღვდელი მხოლოდ გაძღომის ფიქრით იყოს გამსჭვალული და მარტო თავის „მე" ჰყავდეს კერპად! უვიცთ კიდევ ეპატიებათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან, მაგრამ რა ვსთქვათ იმ ზოგიერთებზე, რომლებიც სარკედ უნდა უდგნენ სამწყსოს? ვაი, რომ იმათაც პირველ ხარისხზედ „მე" ჰყავთ დაყენებული და თითო-ოროლა მონდომილი კაცის კეთილ მისწრაფებას ირონიულად უყურებენ. რა თქმა უნდა, ბუნებრივია თავის „მე"-ს პატივისცემა, მაგრამ ამასაც საზღვარი აქვს,—ეგოისტობამდი არ უნდა მიაღწიოს, ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზე არ უნდა დაიკიდოს.

განა ძვირე რიცხვია უმაღლეს და საშვალო განათლებულთა პირთა ჩვენში... მაგრამ ამათზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. თუ ღმერთმა ინება და „შინაური საქმეები" განახლდა ამაზე იქ. ვიბაასოთ შემდეგში.

თქვენი წრფელი განზრახვის განხორციელების
უგულითადესი მოსურნე მღ. თეოფანე ნადირაძე.

— —

დიდათ პატივცემულო
მ. სიმონ!

ზედმეტათ მიმაჩნია ლაპარაკი იმაზედ, რომ თქვენი გამოცემა—„შინაური საქმეები" მეტათ და მეტათ საჭიროა, განსაკუთრებით კი სამღვდელოებისთვის, ამის გამო მისი შეჩერება არა სასურველი და მავნებელიც იქნება. გთხოვთ, მეც მიქონიოთ სახეში სხვა ხელის მომწერელთა შორის.

თქვენი პატივის მცემელი,
ბლაღ. დეკ. მ. გორდეზიანი.

— —

ყველასაგან დიდათ პატივცემულო, ძვირფასო
მამაო სიმონ!

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი. მე ჩემდა თავათ და ჩემის მხრით დიდი მოხარული და კმაყოფილი ვიქნები, თუ „შინაურ საქმეებს" კვლავ განაახლებთ და თქვენ ჩვეულებრივ ენერგიულ ნაყოფიერ შრომას სამშობლო ლიტერატურაში არ მოგვაკლებთ; მე ყოველთვის დიდის აღტაცებით და სიამოვნებით ვიწერდი მაგ გაზეთს და ეხლაც კიდევ მზათა ვარ.—მაგ სიმპატიური ორგანო, მით უმეტეს, ჩვენ ეროში გასაუქმებელი და დასაკეტი არ არის, თუ რეგრესიულ გზას არ დაადგება ჩვენი თანამშრომები... მხოლოდ საჭიროა თქვენ ქუთაისს ან შორაპანს დაუბრუნდეთ.

მღვდ. ბ. ვაშაძე.

მამაო სიმონ!

დიდათ გავიხარე, რომ თქვენ ისევ აპირებთ „შინაური საქმეების“ გამოცემას. სწორეთ ეხლა არი ჩვენთვის საჭირო ჩვენი საკუთარი გამოცემა. იმედია ენერგიულათ მოკიდებთ ხელს თქვენ მიერ დაწყებულ საქმეს, კარგათაც წაიყვანთ. მიმიღეთ აქედამვე ერთ-ერთ ხელის მომწერლათ; დიდი უდიერობა იქნება ჩვენი სამღვდელოების მხრით, რომ 500 ხელის მომწერი არ გვყოლოთ.

დეკ. რ. წერეთელი.

მამაო რედაქტორო სიმეონ!

დიდათ გვიხარიან თქვენი პატივცემულ გაზეთის „შინაური საქმეების“ აღდგენა. უსურვებთ მას მართლა განხორციელდეს და ასრულებდეს მისს დანიშნულებას ისე, როგორც მოსალოდნელია.

დეკანოზი ს. თვალთვაძე.
მღვ. აქ. თვალთვაძე.
მღვ. თ. თვალთვაძე.

კვირიდამ კვირამდე.

ქუთაისში გაიხსნა სასულიერო სემინარია. სწავლა დაიწყება სასულიერო სასწავლებლის შენობაში 15 ეკენისთვეს.

სოფ. წყნორში მღვდლის სიმონ მჭედლიძის წინადადებით შესდგა ომში გასულ ჯარისკაცთა ოჯახების დამხმარე სამზრუნველო, რომლის მოვალეობაა თავთავის დროზე აცნობოს სამრევლოს, თუ რა ესაჭიროება მოხსენებულ ოჯახებს, რომ სამრევლომ შესაფერი დახმარება გაუწიოს. კარგი იქნება ასეთი სამზრუნველოები სხვა სამრევლოებშიც დაარსდებოდეს, რაზედაც უპირველეს მღვდელმა უნდა იზრუნოს.

ქუთაისში მდგომარე წელს გაიხსნა ორი კერძო საშუალო სასწავლებელი კომერციული და ქალთა ქართული გიმნაზია. პირველში სწავლა 20 ენკენისთვიდან დაიწყება, ხოლო მეორეში მისაღები ეკზამენები 9 ენკენისთვიდან დაიწყო.

როგორც „სახ. ფურცელი“ იუწყება საქართველოს ეკზარხოსს ნება დაურთავს გაიხსნას ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დაბალი მოსამზადებელი კლასის პარალელური განყოფილება მშობლების ხარჯით.

თანახმად პროტოპრესვიტერის კანცელარიის ცნობებისა გასულ წელში ბრძოლის ველზე და ზღვაში დახოცილა 29 მღვდელი და მღვდელ-მონაზონი, უკვალოთ დაკარგულა 14, არმიიდგან გამოაკლდა 67 ღვდელ მსახური.

რუსეთის მეფისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ტელეგრამ თ ურთიერთ შორის გამოხმაურება.

პარიზიდან ცნობა მიიღეს 25 აგვისტოს თარიღით, რომ მისმა იმპერატორობითი უდიდებულესობამ 24 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტს შემდეგი ტელეგრამით მიმართა: „ვდგები რა დღეს ქველობით განთქმულ ჩემი არმიის სათავეში, მე განსაკუთრებულ სიამოვნებით მოგმართავ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, უწრფელესი სურვილებით საფრანგეთის განდიდებისა და მისი სახელოვანი არმიის გამარჯვებისათვის“.

პრეზიდენტმა ტელეგრამითვე უპასუხა 25 აგვისტოს შემდეგი:

ღებულობთ რა პირადათ თქვენს თავზე თქვენი გმირი არმიის სარდლობას, მე ვიცი, რომ თქვენ უდიდებულესობას განძრახვა აქვს საბოლოო გამარჯვებამდის ენერგიულად განაგრძოთ ომი, რომელიც თავზე მოახვიეს მოკავშირე ერებს, და გიძღვნი საფრანგეთის სახელით თვით უუმხურვალეს გრძნობებს.

თეატრი სოფელში.

თეატრი ფართო ადგილს იჭერს კაცობრიობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.. რომის იმპერიაში თუ თეატრი გასართობ სახლად ითვლებოდა, თანამედროვე ცხოვრებაში მას დიდ ზნეობრივად აღმზრდელ მნიშვნელობას აძლევენ. დღეს ყველა დარწმუნებულია, რომ თეატრი ადამიანის ბუნების გაკეთილშობილებას ემსახურება, და ამიტომ საერთო სურვილია თეატრი ფართოდ მოეფინოს სოფელ-ქვეყანას. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ქართველმა ინტელიგენციამ გადააჭარბა ამ საქმეში და თეატრი ქალაქიდგან სოფლად გაიტანა. ასეთია ჩვენი ქართველური ბუნება, თუ ყველაფერში არ გადავაჭარბეთ, სოციალდემოკრატებისა არ იყოს, არ შეგვიძლია, ვერ მოვისვენებთ.

სწორედ ასეთ გადაჭარბებად მიგვაჩნია ჩვენ სოფ. საგარეჯოში თეატრის გახსნა, რასაც ბ-ნ ზ. ი. ჩხიკვაძეზე ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია. აი როგორ აგვიწერს ბ. ჩხიკვაძე ამ სასიხარულო ამბავს:

„ჩემდა სასიამოვნოდ სწორედ პირველად ამ ახალ თეატრის გახსნას დავესწარი, სრულებით შემთხვევით. დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, როგორც იქაური და ახლო-მახლო სოფლების ინტელიგენცია, ისე უფრო მომეტებულად გლეხობაც.

სწორედ სასიამოვნო იყო, როცა ამოდენა ხალხი დავინახე სოფლის თეატრის წინ. ბილეთების გაყიდვას ველარ ასდიოდნენ და ხალხი კარგა ხანი ერთ ალაგას იყო დაზღვავებული, მაგრამ ერთმა სანახაობამ დამიკოდა გული და არ შემიძლიან ჩემი გულისწყრომა არ გამოვსთქვა: თითქმის საათ ნახევარზე მეტი ხანი ვიდექ მათ შორის და ამ ხნის განმავლობაში ერთი ქართული ლაპარაკი ვერავისაგან გავიგე. ვისაც შეეძლო, თუ არ შეეძლო, სულ ყველა რუსულად ლაპარაკობდა, და რომ არა მცოდნოდა, რომ ეს ამბავი სოფ. საგარეჯოში ხდებოდა, ჩემი თავი შუა რუსეთის რომელიმე ქალაქში მეგონებოდა. გული დამწყდა და ვიფიქრე, თუ რად დავეცით ისე, რომ ჩვენ ენაზე ლაპარაკი სოფელში თავის დამცირებად მიგვაჩნია.

ახლა რამდენიმე სიტყვა, თვით იმ ღამინდელ წარმოდგენაზე, მაგრამ რა ვსთქვა, როდესაც არც პიესა და არც მოთამაშენი შესაფერისნი არ იყვნენ ამისთანა ღირს-შესანიშნავ დღისათვის. არას ვიტყვი პირად მოთამაშეებზედ, რადგან მეშინიან ვისმეს ვაწყენინო, მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ვიტყვი თვით ადგილობრივ დრამატიულ წრეზე, თუ შეიძლება ასე ითქვას. უნდა გამოვსტყდეთ და გულ-ახდილად ვსთქვათ. რომ არამც თუ სოფლებში და დაბა-ქალაქებში, თვით ტფილისშიაც კი არ არიან ძალიან ბევრი სათეატრო საქმის მცოდნე პირნი. ამისათვის როდესაც სოფლად გვინდა მოვაწყოთ სახალხო წარმოდგენების გამმართველი ამხანაგობა, თუ კომიტეტი, მიუხედავად პიროვნულ სიყვარულისა თუ სიძულვილისა, ამ კომიტეტში იმისთანა პირები უნდა ავირჩიოთ, რომელნიც მართლა საქმეს გამოადგებიან, ცოტათ თუ ბევრად გამოცდილები არიან და მათი შემწეობით ახალი სცენის მოყვარენიც გამოიცდებიან. ამას გარდა ეს კომიტეტი უნდა დიდის დაკვირვებით არჩევდეს ქართულ პიესებს სოფლის სცენაზე გამოსადგეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყვეს მათ შრომას. ამისთანავე მე ვგონებ ძალიან კარგი იქნება ყოველ წარმოდგენის დაწყებამდე ერთ-ერთმა წევრმა კომიტეტისამ მოკლედ განუმარტოს ხალხს შინაარსი და მიზანი ამა თუ იმ პიესისა. რა არის მოსაწონი და რა არის გასაკიცხი, თორემ შეიძლება ისე მოხდეს, როგორც იმ ღამინდელ წარმოდგენაზე. მაშინ, როდესაც ტარიელი და მისი თანამოაზრენი დუქანში ქეიფობენ და ემზადებოდნენ საწყალ სოფლის მასწავლებლის და მის მეუღლის შეურაცყოფისათვის, როდესაც ერთი მათგანი კვეხავს, „ისეთი დავალო რომ დავთრები დაეკარგოსო", როდესაც თვითონ ტარიელი უსამართლოდ და უკმეხურად შეურაცყოფას მიაყენებს მასწავლებელს და მის მეუღლეს; სინანულისა, შებრალებისა და გაკიცხვის მაგიერ, ტაში და ვაშა მიაძახეს ხალხმა ტარიელს.

აი რა არა სასიამოვნო შედეგამდის შეიძლება მივიდეთ და სარგებლობის მაგიერ დიდი ზიანი მივუტანოთ მდაბიო ხალხს."

რა არის აქ, მთელ ამ მოთხრობაში სასიამოვნო ან სადღესასწაულო? ის ხომ არა, რომ ქართველი ინტელიგენცია, ქართული თეატრის შემქნელი, ქართულად ლაპარაკს ვერ ახერხებს, ან არ კადრულობს, ან ის, რომ ხალხი რაღაც სანახაობის მოლოდინში, ბილეთებს ერთიმეორეს ჰგლეჯს ხელში, თუ ის რომ წარმოდგენას ყოვლად საძაგლად ჩაუვლია, ან კიდევ ის, რომ პიესას მიზნისთვის ვერ მიუღწევია და სწორედ იქ გამოუწვევია სიცილ-ხარხარი და უკმეხი გმირისადმი თანაგრძნობა, სადაც მისდამი ზიზღს და მისი სხვერპლისადმი სიბრალულს და თანაგრძნობას უნდა ჰქონოდა ადგილი?

ჩვენ ვერაფერ სასიამოვნოს ვხედავთ საგარეჯოს თეატრის დაარსებაში, თუ მას მიზნად აქვს მდაბიო მუშა ხალხი შეიტყუოს თავის კედლებში და რამოდენიმე საათის შემდეგ სნეობით მოწამლულ მოშხამული გაისტუმროს. ხოლო არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, თუ ადგილობრივ ინტელიგენციას ქართული ენის შესასწავლად დაუარსებია საკუთრად თავისთვის.

(შემდეგი იქნება.)

რედაქტორი: მღ. ს. მჭედლიძე.
გამომც: ი. ლეჟავა.

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. ქუთაისი. სტამბა „ძმობა", ქარვას. ქ. სახლი ჩარექოვისა.